ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება №02-02/145

ქ. თბილისი 29. 07. 2013

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მობილობის ვაკანსიების, ადმინისტრირების ვადების განსაზღვრისა და წარმოსადგენი საბუთების ნუსხის დადგენის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა-გ" ქვეპუნქტების, "მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 22 ივლისის №245 ბრძანების, ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის; „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" VI თავის პირველი - მე-3 მუხლების; ამავე უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (28.06.2013); ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის (1/1020, 02.07.2013; 1/1204, 26.07.2013); ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (1/1051, 08.07.2013); სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის (1/1052, 08.07.2013) სკოლების (ფაკულტეტების) დეკანების წარდგინებების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ვაკანსიები მობილობისათვის 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სკოლების (ფაკულტეტების), მიმართულებების/საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად:
   1.1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლაში (ფაკულტეტზე)
      1.1.1. ისტორიის მიმართულებით
      ა) საბაკალავრო პროგრამაზე - 10 ადგილი (3 - III სემესტრი, 2 - V სემესტრი, 5 - VII სემესტრი);

ბ) სადოქტორო პროგრამაზე ,,საქართველოს ისტორია" - 3 ადგილი (IV სემესტრი);

1.1.2. ფილოლოგიის მიმართულებით

ა) საბაკალავრო პროგრამაზე - 12 ადგილი (5 - III სემესტრი, 2 - V სემესტრი, 5 - VII სემესტრი);

ბ) სადოქტორო პროგრამებზე:

ბ.ა) ქართველურ ენათმეცნიერება - 3 ადგილი (IV სემესტრი);

ბ.ბ) თარგმანმცოდნეობა - 3 ადგილი (IV სემესტრი);

ბ.გ) ქართული ლიტერატურის ისტორია - 3 ადგილი (IV სემესტრი);

1.2. ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სკოლაში (ფაკულტეტზე)

1.2.1. საბაკალავრო პროგრამებზე:

ა.ა) ბიზნესის ადმინისტრირება - 7 ადგილი (5 - III სემესტრი, 2 - V სემესტრი);

ა.ბ) ტურიზმის ბიზნესი - 3 ადგილი (III სემესტრი);

ა.გ) ეკონომიკა - 4 ადგილი (1 - III სემესტრი, 3 - V სემესტრი);

1.2.2. სამაგისტრო პროგრამაზე ,,ბიზნესის ადმინისტრირება" - 2 ადგილი (III სემესტრი);

1.3. ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლაში (ფაკულტეტზე)

1.3.1. საბაკალავრო პროგრამებზე:

ა) მათემატიკა - 5 ადგილი (III სემესტრი);

ბ) ინფორმატიკა - 5 ადგილი (III სემესტრი);

1.3.2. სამაგისტრო პროგრაზე ,,ინფორმაციული ტექნოლოგიები და კომპიუტერული მოდელირება" - 2 ადგილი (III სემესტრი);

1.3.3. სადოქტორო პროგრამაზე ,,კომპიუტერული ტექნოლოგიები და მათემატიკური მოდელირება" - 1 ადგილი (III სემესტრი);

1.4. სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლაში (ფაკულტეტზე)

1.4.1. საბაკალავრო პროგრამაზე ,,ფსიქოლოგია" - 5 ადგილი (2 - III სემესტრი, 3 - V სემესტრი);

1.4.2. სამაგისტრო პროგრამაზე ,,ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირება" - 3 ადგილი;

2. 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მობილობის პროცესის ადმინისტრირებისათვის განისაზღვროს შემდეგი ვადები:

2.1. მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება) - 2013 წლის 2 - 9 სექტემბერი;

2.2. კრედიტების აღიარება - 2013 წლის 10 - 12 სექტემბერი;

2.3. სტუდენტების ინფორმირება აღიარებული კრედიტების თაობაზე - 2013 წლის 13 სექტემბერი;

2.4. მობილობის ფარგლებში გადმოყვანის წესით ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და წარდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში - 2013 წლის 16 სექტემბერი;

3. დადგინდეს მობილობის წესით გადმოსვლის მსურველთა წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

3.1. განცხადება (ივსება ადგილზე);

3.2. სრული ზოგადი/უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სანოტარო წესით/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოწმებული);

3.3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ასლი;

3.4. გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერთიფიკატის ასლი (სანოტარო წესით/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოწმებული);

3.5. სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებმა);

3.6. სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტის ასლი ან მისი ამონაწერი ((სანოტარო წესით/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოწმებული);

3.7. სტუდენტის სასწავლო ბარათის ასლი ან მისი ამონაწერი (სანოტარო წესით/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოწმებული);

3.8. უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის (არსებობის შემთხვევაში) ასლი (სანოტარო წესით დამოწმებული);

4. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის, ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს;

5. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე